განათლების ინტერნაციონალიზაციის გამოწვევები: აღმ. საქართველოში გაცვლით პროგრამებზე სტუდენტების ხელმისაწვდომობის კვლევა გენდერულ ჭრილში

ეკატერინე ბენიაშვილი
მაგისტრანტი
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ანოტაცია

მიზანი - საზღვარგარეთ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობასთან დაკავშირებული გენდერული პრობლემატიკის გამოვლენა. კვლევის ჰიპოთეზა: გენდერული სტერეოტიპები, კულტურული ასპექტები და ოჯახური ტრადიციები საქართველოში უარყოფით გავლენას ახდენს სტუდენტთა გაცვლით პროგრამებზე თანაბარ წვდომაზე (ეს პრობლემა ეხება გოგონებს, რომელთა საზღვარგარეთ „გაშვების“ საკითხს აქ ხშირად ოჯახი წყვეტს).

სტრუქტურა/მეთოდოლოგია/მიდგომა - კვლევისთვის გამოყენებული იქნა თვისებრივი მეთოდები- ჩაღრმავებული ინტერვიუები, ფოკუს ჯგუფები და შინაარსის ანალიზი.

დასკვნები - გაცვლით პროგრამებში იზრდება გოგონების მონაწილეობა, ხოლო მამაკაცთა რიცხოვნობა მცირედად მატების ტენდენციას ავლენს. აღნიშნული აბსოლუტურ თანხვედრაშია ევროპაში მიმდინარე მოვლენებთან, სადაც მდედრობითი სქესის მონაწილეობამ დიდი ხანია გადააჭარბა მამაკაცთა მონაწილეობას. თუმცა, მაინც, კვლევამ გოგონების თავდაუჯერებლობასთან დაკავშირებული პრობლემა გამოავლინა. ისინი არ არიან დარწმუნებულნი, თავად გაუმკლავდებიან თუ არა უცხო ქვეყანაში დამოუკიდებელ ცხოვრებას, რაც შესაძლოა გოგონების აღზრდის ოჯახურ ტრადიციებთან იყოს დაკავშირებული. კვლევით დამტკიცდა ჰიპოთეზა: გოგონები განიცდიან შეზღუდვას ოჯახის მხრიდან: უსაფრთხოების და ტერორიზმის, უცხო გარემოში თავის გატანის უნარების არ ქონის და გოგონაზე ევროპული გამოცდილების შესაძლო ცუდი გავლენის გამო.

კვლევის შეზღუდვები (ხარვეზები)/გავლენა - კვლევა აღმოსავლეთ საქართველოში არსებულ უსდ-ებს მოიცავს და მისი განზოგადება საქართველოს სხვა კუთხეებზე შეუძლებელია.

სიახლე/ღირებულება - მსგავსი კვლევა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში არ გვხვდება. სწორედ ამიტომ არის იგი მნიშვნელოვანი, რადგან მან შესაძლოა გარკვეულწილად შეავსოს ლიტერატურაში არსებული დანაკლისი ან საფუძველი ჩაუყაროს ამ სფეროში კვლევების განხორციელებას.